



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო  
პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება  
მათემატიკა

საფეხური  
ბაკალავრიატი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
საჯარო სამართლის იურიდიული პირი

შეფასების თარიღ(ებ)ი  
25.05.2021

დასკვნის წარდგენის თარიღი  
23.06.2021

თბილისი

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ<sup>1</sup>

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211349192
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	მათემატიკა
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	მათემატიკის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0541 მათემატიკა Mathematics
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	მათემატიკის კლასიკური და თანამედროვე დარგების სწავლება
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	პროფ. ვლადიმერ ბალაძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ასოც. პროფ. ია ნაცვლიშვილი, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო.

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას.

### ▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის მიზანია:

- მათემატიკის ფართო სპექტრის დარგების ზოგადი მათემატიკური მეთოდების შესწავლა;
- ზოგადი მათემატიკური მეთოდების გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარება;

პრობლემის იდენტიფიცირების, მისი მათემატიკური მოდელირების და სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მათემატიკური მეთოდების გამოყენებით გადაჭრის უნარ-ჩვევების განვითარება. საგანმანათლებლო პროგრამის ათვისების შემთხვევაში სტუდენტი:

- იყენებს დიფერენციალური და ინტეგრალური აღრიცხვის, ალგებრის, მათემატიკური ლოგიკის, ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებების ამოხსნის, ნამდვილი და კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა თეორიის ასევე ფუნქციონალური ანალიზის, ზომის თეორიის, ალბათობის თეორიისა და სტატისტიკის სტანდარტულ მეთოდებს და პრინციპებს;
- არჩევს და იყენებს რიცხვითი ანალიზის, ვარიაციული აღრიცხვის და კერძოწარმოებუიანი დიფერენციალური განტოლებების სასაზღვრო ამოცანების ამოხსნის სტანდარტულ მეთოდებს;
- აღწერს ლებეგის ზომის და ინტეგრალის თვისებებს, მწკრივებისა და ფუნქციური სივრცეების სახეებს, ჰარმონიული ანალიზის ძირითად მეთოდებს;
- ახდენს საჭირო მონაცემების შეგროვებას, სტანდარტული სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით ინფორმაციის დამუშავებას, ძირითადი მახასიათებელი ფაქტორების გამოვლენას და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბებას;
- პრაქტიკაში იყენებს სიმრავლეთა თეორიის, მათემატიკური ლოგიკის, მოდელის თეორიის და დისკრეტული მათემატიკის საკითხებთან დაკავშირებული პრობლემების ამოხსნის გზებს;
- იყენებს პოტენციალთა და გამოთვლით მეთოდებს მათემატიკური ფიზიკის და დეფორმადი მყარი სხეულების მექანიკის კლასიკური საწყის-სასაზღვრო ამოცანების ამოხსნის დროს;
- აყალიბებს ფუნქციური მწკრივებისა და ფურიეს მწკრივების კრებადობის ნიშნებს, ტოპოლოგიური სივრცეებისა და გარდაქმნათა ჯგუფებით აღჭურვილი სივრცეების სტრუქტურას, ტოპოლოგიურ და ალგებრულ სტრუქტურებზე განსაზღვრული ზომების თვისობრივ მახასიათებლებს;
- აღწერს ალბათური და სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით სტოხასტური პროცესების და მასობრივი მომსახურების სისტემების პარამეტრების შეფასებას;
- აყალიბებს მტკიცებათა, ალგორითმებისა და რეკურსიის თეორიის სხვადასხვა ტიპის ალგორითმებს, ასევე გრაფთა თეორიისა და კომბინატორული გეომეტრიის სტანდარტულ მეთოდებს.

მათემატიკის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს:

- სადაზღვევო ფირმებში აქტუარების ჯგუფებში;
- სოციოლოგიური კვლევების ცენტრებში მონაცემთა შეგროვების, დამუშავებისა და მართვის ჯგუფებში;
- სამეცნიერო და საპროექტო-ტექნიკურ ორგანიზაციების იმ განყოფილებებში, რომლებიც მუშაობენ სტანდარტული მათემატიკური მოდელირების ამოცანებზე, ასევე სხვადასხვა საჯარო სტრუქტურების ანალიტიკურ დეპარტამენტებში;
- სტატისტიკური მონაცემების დამუშავების ჯგუფებში ბანკებსა და კორპორაციებში, კერძო ფირმებში, საფინანსო სექტორში, სამთავრობო-სამხედრო და სამედიცინო სტრუქტურებში.

- საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. პროგრამა შედგენილია კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემით (ECTS). საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. კრედიტების განაწილება საგნების მიხედვით წარმოდგენილია სასწავლო გეგმაში. პროგრამა გრძელდება 4 წელი (8 სემესტრი, თითოეულ სემესტრში 30 კრედიტი) და ჯამში მოიცავს 240 კრედიტს.

პროგრამის სტრუქტურა. საგანმანათლებლო პროგრამა დაფუძნებულია სასწავლო კომპონენტების არჩევითობის პრინციპზე, იგი მოიცავს ძირითად სასწავლო კურსებს (რომლებშიც შედის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები და კონცენტრაციები) და თავისუფალ კომპონენტებს. საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს: - საწარმოო პრაქტიკას - 5 კრედიტი; - 4 კონცენტრაციას - თითოეული კონცენტრაციის მოცულობა არის 25 კრედიტი;

სასწავლო წლის განრიგი: სასწავლო წელი შედგება ორი, საშემოდგომო და საგაზაფხულო სემესტრებისაგან. თითოეულ სემესტრში სასწავლო პროცესი წარიმართება სემესტრის სასწავლო განრიგის შესახებ რექტორის ბრძანების შესაბამისად.

#### ▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

სასწავლო პროცესს უზრუნველყოფს მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი და სასწავლო ლაბორატორიები.

პროგრამა შეესაბამება იმ სტანდარტებს, რომლებიც წაყენებული აქვთ მათემატიკის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებს. იგი ითვალისწინებს მათემატიკის ფუნდამენტური მიმართულებების საფუძვლების სწავლებას და მოიცავს იმ მათემატიკურ კურსთა სილაბუსებს, რომელთა დაუფლების შემთხვევაში სტუდენტს შეეძლება მათემატიკური მოდელირების მეთოდების გამოყენება.

#### • საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

საგანმანათლებლო პროგრამა მათემატიკა შედგენილია კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემით. იგი შედგება კურიკულუმით გათვალისწინებული ძირითადი სპეციალობის კრედიტების და კრედიტების თავისუფალი კომპონენტის კურსებისაგან, რომლებიც დაფუძნებულია არჩევითობის პრინციპზე.

აღსანიშნავია, რომ მათემატიკის სხვადასხვა ფუნდამენტურ მიმართულებასთან დაკავშირებული კურსების სილაბუსებში შემავალი მასალის და მეთოდების დაუფლება ხელს უწყობს მათემატიკოსის კვალიფიკაციის მქონე ბაკალავრს მოახდინოს, როგორც მათემატიკურ, ისე არამათემატიკურ დარგთა თეორიული და პრაქტიკული ამოცანების მათემატიკური აღწერა და გადაჭრა.

პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო პროცესში სწავლების სხვადასხვა ფორმიდან (ლექცია, სემინარი, პრაქტიკული, კონსულტაცია და სხვა) გამოყენებულია რომელიმე ერთი ფორმა, დამოკიდებული საგნის სილაბუსის შინაარსზე.

მათემატიკოსი ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირის დასაქმების სფერო მრავალფეროვანია და მოიცავს სადაზღვევო ფირმებს, სოციოლოგიურ ცენტრებს, სამეცნიერო დაწესებულებებს, ბანკებს, უნივერსიტეტებს და სხვა. გარდა ამისა, მას საშუალება ეძლევა სწავლა გააგრძელოს მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე.

საგანმანათლებლო პროგრამის კურსების სილაბუსებში გადმოცემული მასალა ეხება კლასიკური და თანამედროვე მათემატიკის მიღწევებს და შეესაბამება იმ მიზნებსა და მოთხოვნებს, რომლებიც ცნობილ უნივერსიტეტებს წაყენებული აქვთ ბაკალავრიატის მათემატიკურ პროგრამებზე.

პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს არანაკლებ ოთხმოცი აკადემიური პირი, რომელთაც გააჩნიათ მაღალი სამეცნიერო რეიტინგი და დიდი აკადემიური გამოცდილება, რაც დასტურდება მათ მიერ მიღებული სამეცნიერო შედეგებით, გამოცემული შრომებით, შექმნილი სახელმძღვანელოებით, საერთაშორისო

მათემატიკურ ფორუმებში მონაწილეობით, საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან კავშირებით და თანამშრომლობით.

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამების რეალიზაციის სასწავლო პროცესს ემსახურება ინფორმატიკისა და მართვის სისტემების სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია, აღჭურვილი თანამედროვე ტექნიკური აპარატურით, შემდგარი 32 კომპიუტერული კლასისა და ციფრული ტექნიკის ოფისისგან. სამეცნიერო და სასწავლო პროცესების განხორციელებას ემსახურება 80 ტექნიკური პერსონალი. ლაბორატორიაში ხორციელდება მათემატიკის სწავლების და კვლევის მოდერნიზაცია თანამედროვე ტექნოლოგიების და მოთხოვნების, ეროვნული კლასიფიკაციების ჩარჩოს და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამის მთავარი შედეგია ის, რომ ბაკალავრის ხარისხმინიჭებული კურსდამთავრებული:

1. იყენებს დიფერენციალური და ინტეგრალური აღრიცხვის, ალგებრის, მათემატიკური ლოგიკის, ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებების ამოხსნის, ნამდვილი და კომპლექსური ცვლადის, ფუნქციათა თეორიის, ფუნქციონალური ანალიზის, ზომის თეორიის, ალბათობის თეორიისა და სტატისტიკის სტანდარტულ მეთოდებს და პრინციპებს.
2. არჩევს და იყენებს რიცხვითი ანალიზის, ვარიაციული აღრიცხვის და კერძოწარმოებულიანი დიფერენციალური განტოლებების სასაზღვრო ამოცანების ამოხსნის სტანდარტულ მეთოდებს.
3. აღწერს ლებეგის ზომის და ინტეგრალის თვისებებს, მწკრივებისა და ფუნქციური სივრცეების სახეებს, ჰარმონიული ანალიზის ძირითად მეთოდებს.
4. ახდენს საჭირო მონაცემების შეგროვებას, სტანდარტული სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით ინფორმაციის დამუშავებას, ძირითადი მახასიათებელი ფაქტორების გამოვლენას და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბებას.
5. პრაქტიკაში იყენებს სიმრავლეთა თეორიის, მათემატიკური ლოგიკის, მოდელების თეორიის და დისკრეტული მათემატიკის საკითხებთან დაკავშირებული პრობლემების ამოხსნის გზებს.
6. იყენებს პოტენციალთა მეთოდებს და გამოთვლით მეთოდებს მათემატიკური ფიზიკის და დეფორმირებადი მყარი სხეულების მექანიკის კლასიკური საწყის-სასაზღვრო ამოცანების ამოხსნის დროს.
7. აყალიბებს ფუნქციური მწკრივებისა და ფურიეს მწკრივების კრებადობის ნიშნებს, ტოპოლოგიური სივრცეებისა და გარდაქმნათა ჯგუფებით აღჭურვილი სივრცეების სტრუქტურას, ტოპოლოგიურ და ალგებრულ სტრუქტურებზე განსაზღვრული ზომების თვისობრივ მახასიათებლებს.
8. აღწერს ალბათური და სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით სტოხასტური პროცესების და მასობრივი მომსახურების სისტემების პარამეტრების შეფასებას.
9. აყალიბებს მტკიცებათა, ალგორითმებისა და რეკურსის თეორიის სხვადასხვა ტიპის ალგორითმებს, ასევე გრაფთა თეორიის და კომბინატორული გეომეტრიის სტანდარტულ მეთოდებს.

ამრიგად, ზემონათქვამიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა მათემატიკა აკმაყოფილებს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს, სწავლის სფეროების კლასიფიკატორის და აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებს, წარმოადგენს საერთაშორისო სტანდარტების დონის პროგრამას, რომლის ათვისების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა საშუალება დაეუფლოს მაღალკვალიფიციური მათემატიკის ბაკალავრის აკადემიურ ხარისხს.

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებს. სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია დეტალურ სფეროში მოცემული სწავლის სფეროსა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელებასთან, ვინაიდან პროგრამის ძირითადი შინაარსი, სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების მიხედვით, შეესაბამება ამ დეტალურ სფეროს და მათი ხვედრითი წილი (კრედიტების ჯამური მოცულობა) შეადგენს არანაკლებ 75%.

სხვადასხვა უნივერსიტეტების მათემატიკის საგანმანათლებლო პროგრამებში აქცენტი უფრო მათემატიკის პრაქტიკაში გამოყენების პერსპექტივაზეა გამახვილებული. პროგრამამ გაითვალისწინა ეს გარემოება და პროგრამის მოდიფიცირებისას სასწავლო კურსებში დაემატა სასწავლო პრაქტიკის კურსი აღწერით სტატისტიკაში. ამ კურსის გავლა საშუალებას მისცემს სტუდენტს მათემატიკური ანალიზის, ალგებრის, ალბათობის თეორიის და მათემატიკური სტატისტიკის კურსებში მიღებული თეორიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამოყენებით ააგოს სხვადასხვა პრაქტიკულ ამოცანებში პირველადი სტატისტიკური მონაცემების გრაფიკული დიაგრამები, გამოთვალოს შესაბამისი ვარიაციული მწკრივებისათვის ცენტრალური ტენდენციისა და გაბნევის რიცხვითი მახასიათებლები, დაადგინოს ზომიერი და ექსტრემალური ამოვარდნები, მახასიათებლებისათვის ააგოს გაბნევის დიაგრამები და კორელაციის შერჩევითი კოეფიციენტის საშუალებით დაადგონოს კავშირი მათ შორის. გააკეთოს სათანადო დასკვნები გამოთვლებით

მიღებული რიცხვითი მახასიათებლებისა და გრაფიკული წარმოდგენების მიხედვით გამოკვეთილი ტენდენციების ანალიზის საფუძველზე მონაცემთა ყოფაქცევის შესახებ.

ამდენად საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კვალიფიკაცია „მათემატიკის ბაკალავრი“, პროგრამის მიზნისა და სწავლის შედეგების მიღწევის შემთხვევაში, სპეციალისტს აძლევს შესაძლებლობას გადაწყვიტოს სხვადასხვა დარგის კონკრეტული პრობლემები მათი იდენტიფიცირების, მათემატიკური მოდელირების და ამ მოდელების შესწავლის გზით, სტანდარტული მათემატიკური მეთოდების გამოყენებით.

▪ **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არჩევით კურსებში გათვალისწინებული იქნეს საგნები, რომელიც უკავშირდება პროგრამის საგნებს და პროგრამირებას.

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

ბაკალავრიატის მათემატიკის საგანმანათლებლო პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

<b>1.1 პროგრამის მიზნები</b>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, აღწერით, გაანალიზებით და შეფასებით დადგინდა საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.</p>
<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <p>კომპონენტის მტკიცებულებების/ინდიკატორების შესაბამისი დოკუმენტები და ინტერვიუს შედეგები გვიჩვენებს, რომ პროგრამა აკმაყოფილებს მასზე წაყენებულ მოთხოვნებს.</p>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <p>უსდ-მ უზრუნველყოს აკადემიურ პირთა ზომიერი დატვირთვები და შექმანს პირობები ცნობილი სახელმძღვანელოების თარგნისთვის და შექმნისათვის.</p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p>
<p><b>შეფასება</b></p> <p>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p>

### 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად დადგინდა საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა. პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას და უნარებს, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება დაფუძნებულია სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა შეგროვებასა და ანალიზზე. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p>
<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <p>კომპონენტის მტკიცებულებები და ინდიკატორები ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს მაღალ დონეზე.</p>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <p>პროგრამა აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს და არ საჭიროებს რაიმე ახალ განსხვავებულ რეკომენდაციებს.</p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>საჭიროა სწავლების მოდერნიზაცია თანამედროვე ტექნოლოგიების შესაბამისად.</p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <p>სტუდენტური პროსემინარების ჩატარება</p>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოკმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <p>პროგრამის განხორციელებაში ცნობილი მათემატიკოსების მონაწილეობა</p>
<p><b>შეფასება</b></p> <p>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p>

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი და სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან			

**2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**

**2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები**

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მფლობელს, რომელიც ჩაირიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**  
 საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დადგინდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია მოთხოვნებთან .

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**  
 კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით ადასტურებს, რომ საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებას.

**რეკომენდაციები:**  
 პროგრამა აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**  
 სასურველია სტუდენტთა მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში და მათი აქტიური ჩართვა სამეცნიერო კვლევებში.

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოკმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**  
 კურსების სილაბუსების შინაარსი გახდა მრავალფეროვანი

**შეფასება**  
 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი**

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**  
 პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**  
 კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით ადასტურებს პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობას.

**რეკომენდაციები:**  
 არ საჭიროებს სერიოზულ რეკომენდაციებს. პროგრამა აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს



**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

მათემატიკის ფუნდამენტური მიმართულებების საფუძვლიანი შესწავლა

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**  
მაღალი აკადემიური დონის პერსონალის ჩართვა სასწავლო და სამეცნიერო პროცესებში.

**შეფასება**

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

**2.3. სასწავლო კურსი**

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დადგინდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა. პროგრამის ნებისმიერი სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს. გარდა ამისა, სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით ადასტურებს, რომ პროგრამის მიზანი მიღწევადია და სწავლის შედეგი შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას.

**რეკომენდაციები:**

პროგრამა აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

დაემატოს კურსები, რომლებშიც შერწყმულია კლასიკური კურსების შინაარსი და პროგრამირების მეთოდები.

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

წინა აკრედიტაციის შემდეგ მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსების გაძლიერება ითვლება მნიშვნელოვან მიღწევად.

**შეფასება**

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

**2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება**

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დადგინდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობაშია. პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით ადასტურებს, რომ პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, შემოქმედებითი და საშემსრულებლო უნარების განვითარებას.

**რეკომენდაციები:**

პროგრამა აკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნებს

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სტუდენტთა პროსემინარების ჩატარება

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება ზოგიერთი მათემატიკური კურსის სწავლებისას.

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

განხორციელდა მონოგრაფიების და სახელმძღვანელოების გამოცემა.

**შეფასება**

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

**2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები**

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად დადგინდა საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების თანახმად პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით.

**რეკომენდაციები:**

<p>პროგრამა აკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნებს და არ საჭიროებს ცვლილებებს.</p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>პროგრამის განვითარებისთვის სასურველია სტუდენტმა გარკვეული კრედიტები დააგროვოს ჩვენი ქვეყნის ან უცხოეთის უნივერსიტეტებში. საჭიროა გაიზარდოს მოწვეულ ცნობილ მკვლევართა რიცხვი.</p>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ დასტურდება იმით, რომ სწავლების პროცესში მოხდა თანამედროვე ტექნოლოგიების აქტიურად გამოყენება</p>
<p><b>შეფასება</b></p> <p>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p>

<p><b>2.6. სტუდენტების შეფასება</b></p>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>სილაბუსებით გათვალისწინებული მოთხოვნების და კრიტერიუმების შესაბამისად ხდება სტუდენტთა შეფასება. საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დადგინდა საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა. სტუდენტების გამჭვირვალე შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით და კანონმდებლობასთან შესაბამისად.</p>
<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <p>სილაბუსის კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები გვიჩვენებ, რომ დადგენილი მოთხოვნები სწორად ასახავს სტუდენტის ცოდნის დონეს.</p>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <p>პროგრამა ითვალისწინებს სწავლა-სწავლების მოთხოვნებს</p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>მათემატიკის ფუნდამენტური მიმართულებების კურსების საფუძვლების სრულად წარმოჩენა.</p>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <p>მნიშვნელოვანი მიღწევებია შეფასების სისტემების გამჭვირვალეობაში და მის დანერგვაში.</p>
<p><b>შეფასება</b></p> <p>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p>

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან			

#### 4.1 ადამიანური რესურსი

##### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დადგინდა სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა. ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული მიზნების მიღწევას. პროგრამას ახორციელებენ მაღალი და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული საჭირო აუცილებელი კომპეტენცია. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება. პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

##### მტკიცებულებები/ინდიკატორები

კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით გვიჩვენებს, რომ აღწერილი ინდიკატორები/მტკიცებულებები ასახავს მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობას.

##### რეკომენდაციები:

ყოველ კურსში კომპიუტერული მეთოდების ჩართვა.

##### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სწავლების მოდერნიზაცია თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.

##### მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

ერთერთ მნიშვნელოვან მიღწევად ითვლება მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაფართოება.

## შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

### 4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დადგინდა საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა. აკადემიური პირები აწარმოებენ აქტიურ სამეცნიერო მუშაობას, აქვეყნებენ შრომებს ცნობილ ჟურნალებში და მონაწილეობენ საერთაშორისო მათემატიკური ფორუმების მუშაობაში. დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები

კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით გვიჩვენებს, რომ პროგრამას ახორციელებს მაღალი დონის სამეცნიერო პერსონალი.

#### რეკომენდაციები:

პროგრამა აკმაყოფილებს სათანადო მოთხოვნებს და არ საჭიროებს სტანდარტის მოთხოვნების ცვლილებას.

#### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია თანამედროვე გამოყენებითი დარგების კვლევების განვითარება.

#### საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

თანამშრომლობა ცნობილ უცხოურ უნივერსიტეტებთან.

#### მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

პროფესორ-მასწავლებლები აწარმოებენ მაღალი დონის სამეცნიერო კვლევებს ცნობილ უცხოურ უნივერსიტეტებთან ერთად.

## შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

### 4.3 მატერიალური რესურსი

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დადგინდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობაშია. პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები

კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით ადასტურებს, რომ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა აკმაყოფილებს მაღალ სტანდარტებს.

<b>რეკომენდაციები:</b>
პროგრამა აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს და არ საჭიროებს ცვლილებებს.
<b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b>
თანამედროვე კომპიუტერულ მეცნიერებათა მიღწევების გათვალისწინებით კურსების შექმნა.
<b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b>
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ არის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოება და გამოყენება სასწავლო პროცესში.
<b>შეფასება</b>
შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

<b>4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგომარეობა</b>
<b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b>
საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დადგინდა საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა. კერძოდ, პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
<b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b>
პროგრამის კომპონენტის მტკიცებულებების/ინდიკატორების შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების თანახმად ფინანსური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.
<b>რეკომენდაციები:</b>
სასურველია პროგრამის ბიუჯეტის გაზრდა. პროგრამა აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს.
<b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b>
პროგრამის ფინანსური რესურსების გაზრდა და მიზნობრივი მოხმარება
<b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b>
მნიშვნელოვანი მიღწევა, რომელიც განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ არის ბიუჯეტის მოხმარა კომპიუტერული ბაზის განვითარებაზე.
<b>შეფასება</b>
შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

ბიუჯეტი ხმარდება პროგრამის განხორციელებას.

<b>სტანდარტი</b>	<b>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</b>	<b>მეტწილად შესაბამისობაში</b>	<b>ნაწილობრივ შესაბამისობაშია</b>	<b>არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</b>
------------------	-------------------------------------	--------------------------------	-----------------------------------	--

		ია მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან	
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან			

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
საჯარო სამართლის იურიდიული პირი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:  
მათემატიკა

საფეხური:  
ბაკალავრიატი

დასკვნის გვერდების რაოდენობა:  
16

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის სახელი, გვარი, ვლადიმერ ბალაძე



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის  
სახელი, გვარი, ია ნაცვლიშვილი

